

პრესრელიზი

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოფენა „კავკასიის ბიომრავალფეროვნება“ გაიხსნა



ფონდისა და ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტის მთავარი მიზანი იყო ერთ სივრცეში განთავსებულიყო უძველესი სამეცნიერო კვლევების ნიმუშები და თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების სინთეზი. რამაც ახალი, თანამედროვე, მძლავრი საგანმანათლებლო ცენტრი შექმნა. საგამოფენო სივრცე როგორც დასათვალიერებლად ასევე სასწავლო პროცესის განხორციელებისთვისაც ხელმისაწვდომია. ამ მიზნით ადგილზევეა შექმნილი სპეციალური კუთხე ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

ახალ სივრცეში გამოფენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული კავკასიაში უნიკალური და უმდიდრესი გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციები. მათ შორისაა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ან უკვე გადაშენებული სახეობები. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ, ბუნების ისტორიის კოლექციების შეგროვება მუზეუმში 1852 წლიდან იწყება. 1856-1868 წლებში ნატურალისტ ფრიდრიხ ბაიერნის ინიციატივით მოეწყო საბუნებისმეტყველო მუზეუმის პირველი გამოფენა-კაბინეტი. სწორედ აღნიშნული გამოფენის დახურვიდან 150 წლის შემდეგ, საქართველოს ეროვნული მუზეუმში „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ თანადგომით შესაძლებელი გახდა უნიკალური ექსპოზიციის გაცოცხლება.

აღსანიშნავია, რომ დღეს გამოფენილ ექსპონატთა ნაწილი წარმოდგენილი იყო პარიზის 1867-1869 წლების საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ბევრმა მათგანმა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. დღეს კი უკვე სტუმარი თანამედროვე სამუზეუმო ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ სივრცეში შეძლებს ექსპონატების დათვალიერებას.



პრესრელიზი

გამოფენაზე წარმოდგენილია კავკასიის რეგიონის ბიომრავალფეროვნება – გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მინერალები, ქანები, ნამარხ უხერხემლო ცხოველთა ფაუნა, უმაღლესი და უმდაბლესი მცენარეების საჰერბარიუმო ნიმუშები, მოლუსკები, მწერები, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები სრულყოფილად ასახავს საქართველოს და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის ფლორისა და ფაუნის ევოლუციურ განვითარებას. კოლექციებს შორისაა კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული ენდემები, გადაშენების პირას მყოფი ან უკვე გადაშენებული სახეობები. პროექტის განხორციელება,, დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“ მეცნატ ოლეგ ჩერეპანოვთან და „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფთან“ თანაპარტნიორობით განახორციელა.

პროექტი მომზადდა საბუნების მეტყველო მუზეუმის პირველი გამოფენიდან 150 წლის შემდეგ, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული გამოფენის პარტნიორი National Geographic საქართველო.

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

